

მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი ყოველკვარტლურად აქვეყნებს მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს, სადაც დეტალურადაა გაწერილი ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა შეინარჩუნოს ფასების სტაბილურობა, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სტაბილური დასაქმების აუცილებელი წინაპირობაა.

2017 წელს ინფლაცია, ერთჯერადი ფაქტორების გამო, 4 პროცენტთან მიზნობრივი მაჩვენებლის ზემოთ წარჩუნდება. წლის პირველ ნახევარში ინფლაციას ზრდის ტენდენცია ჰქონდა და ივნისში მან 7.1 პროცენტთან მაჩვენებელს მიაღწია. ამის შემდეგ ინფლაციამ შემცირება დაიწყო და სექტემბერში 6.2 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე წელს ინფლაციის ზრდა მეტწილად თამბაქოს ნაწარმსა და საწვავზე ფასების ზრდას უკავშირდება, რაც აქციზის გადასახადის ზრდითა და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის მატებით არის გამოწვეული. ამ პროდუქტების ფასების ზრდის წვლილი სექტემბრის ინფლაციაში 2.5 პროცენტული პუნქტია. რადგანაც ეს ზრდა ერთჯერადი ხასიათისაა, 2018 წლის დასაწყისიდან ის ინფლაციის მაჩვენებელზე არ იმოქმედებს.

2017 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები მოსალოდნელზე უფრო მაღალ ზრდაზე მიუთითებს. ამის გამო, ეროვნულმა ბანკმა 2017 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4 პროცენტიდან 4.5 პროცენტამდე გაზარდა, რაც, ძირითადად, საგარეო სექტორის გაუმჯობესების შედეგია. მიუხედავად ამისა, მოთხოვნის მხრიდან ინფლაციაზე გავლენა კვლავ სუსტი რჩება.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2017 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე მიზანშეწონილად მიიჩნია პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად, 7.0 პროცენტზე შენარჩუნება. კომიტეტი გადაწყვეტილებას ინფლაციის პროგნოზის მიხედვით იღებს. არსებული პროგნოზით ინფლაციის წლიური მაჩვენებელი, დროებითი ფაქტორების გამო, 2017 წლის მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა დარჩება, თუმცა ამ ფაქტორების ამოწურვის შედეგად, 2018 წლის დასაწყისში იგი შემცირდება და 3 პროცენტთან მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იქნება.

ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად ნეიტრალურ დონემდე შემცირდება. მინდა დავამატო, რომ პოლიტიკის განაკვეთის აღწერილი პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დანაპირებს მონეტარული პოლიტიკის შემდგომ გადაწყვეტილებებზე, არამედ ის ასახავს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საორიენტაციო ტრაექტორიას, რომელიც დღეისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციასა და პროგნოზებს ეფუძნება.

ასევე მინდა განვმარტო, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი საშუალოვადიან პერიოდში 2018 წლიდან. საშუალოვადიან პერიოდზე ფოკუსირებას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება, ინფლაცია ყოველთვის განსხვავებული იქნება მიზნობრივი დონისგან, ზოგჯერ იქნება მიზნობრივზე უფრო მაღალი და ზოგჯერ მიზნობრივზე უფრო დაბალი, თუმცა ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის იმობრავებს სამიზნე მაჩვენებელისაკენ. ამ მიდგომით, რასაც ინფლაციის თარგეთირება ეწოდება, ფასების სტაბილურობა ყველაზე დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და სტაბილურია.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ როდესაც ვამბობთ ინფლაციის თარგეთი არის 3 პროცენტი ჩვენ არ ვგულისხმობთ ინფლაციას ნულიდან სამ პროცენტამდე, არამედ ვგულისხმობთ ინფლაციას 3 პროცენტთან ახლოს საშუალოვადიან პერიოდში.